აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების **პროფილი**

დამტკიცებულია: ფაკულტეტის
საბჭოს 2018 წ. 12 იანვრის სხდომაზე

ქუთაისი 2018

1. **ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილის დოკუმენტის მიზანი;**

ფაკულტეტზე არსებული საგანმამათლებლო პროგრამების ფუნქციონირების რეალური სურათის შექმნა და SWOT ანალიზის საფუძველზე განვითარების გზების დასახვა.

2. **გამოყენების სფერო** - ნებისმიერი დაინტერესებული პირი.

3. **მოკლე სიტუაციური აღწერა:**

ფაკულტეტზე ხორციელდება უმაღლესი განატლების სამივე საფეხურის ბაზარზე მაღალ მოთხოვნადი 13 საგანმანათლებლო პროგრამა - 4 საბაკალავრო, 7 სამაგისტრო და 2 სადოქტორო (ამასთან, 2016 წლის მიღებამდე, ფაკულტეტზე ფუქნციონირებდა ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა). ფაკულტეტის სტუდენტების მიერ სწავლის ქირიდან ყოველწლიური შემოსავალი შეადგენს საშუალოდ 5-6 მილიონ ლარს, რაც უნივერსიტეტის ანალოგიური მაჩვენებლის თითქმის მესამედია.

4. **სიტუაციური ანალიზი (SWOT)**

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ ფინანსურად მდგრადი და მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა; ✓ მოტივირებული ადმინისტრაცია და შესაბამისი კვალიფიციის აკადემიური პერსონალი; ✓ კურსდამთავრებულთა შესაბამისი პროფილით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; ✓ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აქტიური ჩართულება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებაში; ✓ სტუდენტური შემეცნებითი/პრაქტიკული ღონისძიებების/ინიციატივების ხელშეწყობის და განხორციელების გამოცდილება; ✓ მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტთა მაღალი რიცხოვნობა.	✓ უცხო ენის მცოდნე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სიმცირე; ✓ მხოლოდ ერთი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა; ✓ საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების მცირე რაოდენობა. ✓ ფაკულტეტის სხვადასხვა მისამართზე ფუნქციონირება; ✓ სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებზე მორგებული აუდიტორიების არასაკმარისობა; ✓ საგანმანათლებლო პროგრამების PR კამპანიის ნაკლებობა;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარება; ✓ სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებზე მორგებული აუდიტორიების ხარისხობრივი და	✓ ინფლაცია და ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური დონის ცვლილება; ✓ საგანმანათლებლო პროგრამების სახელმწიფო დაფინანსების სისტემის შეცვლა; ✓ დემოგრაფიული მდგომარეობა და

რაოდენობრივი ზრდა; ✓ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების ღონისძიებების გააქტიურება/გაფართოება; ✓ დამოუკიდებლად და, ასევე, ერთობლივი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება; ✓ არსებული ინგისურენოვანი საგანამანათლებლო პროგრამის საერთაშორისიო აკრედიტაციაზე წარდგენა. ✓ პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ თემატური საჯარო ლეციებისა და მასტერკლასების ჩატარება. ✓ არსებული პროექტის - „დამსაქმებლის დღე" - გააქტიურება/ყოველთვიურად შეხვედრების მოწყობა დამსაქმებლებსა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს შორის. ✓ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე საგანმანათლებლო პროგრამების PR-ს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; ✓ 2018 წლიდან ფაკულტეტის ერთ მისამართზე განთავსება; ✓ საჯარო ლექციების/მასტერ კლასების წაკითხვა/ჩატარებისთვის უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა.	აბიტურიენტთა რაოდენობის შემცირება; ✓ კვალიფიციური კადრების შენარჩუნება.

5. არსებული და პოტენციური პარტნიორები

საჯარო სექტორი – პრეზიდენტის ადმინისტრაცია, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, თვითმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა და მერია, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიულ - ადმინისტრაციული ერთეულები და იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები;

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები – თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თსუ-ს სამართლის ფაკულტეტი, თსუ ეკონომიკის საერთაშორისიო სკოლა; თსუ-ს პოლიტიკურ მეცნიერებათა დეოარატამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარატამენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი.

კერძო სექტორი – სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია", სს "თიბისი ბანკი" , სს "ლიბერთი ბანკი", სს "ფინკა ბანკი საქართველო", სს "კრედო ბანკი", მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალი", მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ლაზიკა კაპიტალი", სადაზღვევო კომპანია "არდი ჯგუფი", სადაზღვევო კომპანია "ალდაგი", ტელეკომპანია „აჭარა", „მეგატივი", აუდიტორული ფირმა „ელიტ აუდიტი", საადვოკატო/საკონსულტაციო ბიუროები, სამედიცინო კლინიკა „XXI საუკუნე", ტელეკომპანია „რიონი"; ინტერპრესნიუსი, რადიო ძველი ქალაქი, ქუთაისი პოსტი....

უცხოელი პარტნიორები - კიევის ტარას შევჩენკოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი, რომელთანაც 2018 წელს გაფორმდება მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივ:

- სამაგისტრო პროგრამის შექმნას;
- საერთაშორსიო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებას;
- ევრაზიის ფონდით დაფინანსებული საგრანტო პროექტებში მონაწილეობას;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროგრამას.

ფაკულტეტი 2018 წელს გეგმავს პოლონეთის და ჩეხეთის უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარებას, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივ „ეკონომიკის" სამაგისტრო პროგრამის შემუშავებას 2020 წლის მიღებისათვის.

ერასმუს + პროექტში მონაწილე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებთან არსებული კონტაქტები.

6. არსებული საგანმანათლებლო პროგრამები

საბაკალავრო პროგრამები:

I. **ბიზნესის ადმინისტრირება** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; მოდული: „ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი", „მენეჯმენტ-მარკეტინგი" და „აგრობიზნესი");

II. **სამართალი** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამართლის ბაკალავრი; მოდული: „სისხლის სამართალი", „კერძო სამართალი" და „საჯარო სამართალი");

III. **ეკონომიკა** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ეკონომიკის ბაკალავრი; მოდული: „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები" და „ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი");

IV. **სოციალური მეცნიერებები** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი; მოდული:„მასობრივი კომუნიკაციები" (ჟურნალისტიკა), „საჯარო მმართველობა" და „საერთაშორისო ურთიერთობები").

სამაგისტრო პროგრამები:

I. **ბიზნესის ადმინისტრირება** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი; მოდული: „ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე", „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი", „მენეჯმენტი", „მარკეტინგი" და „აგრობიზნესის მენეჯმენტი");

II. **სისხლის სამართალი** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სისხლის სამართლის მაგისტრი);

III. **საჯარო სამართალი** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საჯარო სამართლის მაგისტრი);

IV. **საჯარო მმართველობა** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალურ მეცნიერებების მაგისტრი);

V. **ეკონომიკა** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ეკონომიკის მაგისტრი);

VI. **ჟურნალისტიკა** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების მაგისტრი ჟურნალისტიკაში);

VII. **ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში** (ინგლისურენოვანი; მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების მენეჯმენტის მაგისტრი).

სადოქტორო პროგრამები:

I. **ბიზნესის ადმინისტრირება** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი; სპეციალიზაციის კონცენტრაციები: „ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი", „საბუღალტრო აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი" და „მენეჯმენტი");

II. **ეკონომიკა** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ეკონომიკის დოქტორი),

საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა და შესაბამისი სწავლის ქირიდან შემოსავლის მოცულობა (2012-2017 წწ. წლიური სწავლის ქირა 2250 ლარი)

საგანმანათლებლო პროგრამები	2012		2013		2014		2015		2016		2017	
	რაოდენობა	დაფინანსება, ლ.	რაოდენობა	დაფინანსება, ლ.	რაოდენობა	დაფინანსება, ლ.	რაოდენობა	დაფინანსება. ლ.	რაოდენობა	დაფინანსება, ლ.	რაოდენობა	დაფინანსება, ლ.
BA ბიზნესის ადმინისტრირება	209	470250	200	450000	92	202 500	127	285 750	122	274 500	116	261 000
BA ეკონომიკა	90	202 500	90	202 500	100	225 000	100	225 000	100	225 000	80	180000
BA სამართალი	89	200 250	100	225 000	100	225 000	100	225 000	100	225 000	100	225 000
BA სოციალური მეცნიერებები	73	164 250	80	180000	90	202 500	90	202 500	90	202 500	90	202 500
MA ბიზნესის ადმინისტრირება	28	63 000	49	110250	50	112 500	39	87 750	19	42 750	50	112 500
MA სისხლის სამართალი	11	24 750	11	24 750	24	54000	22	49 500	21	47 250	21	47 250
MA საჯარო სამართალი	16	36000	15	33 750	20	45 000	14	31 500	15	33 750	11	24 750
MA საჯარო მმართველობა	16	36 000	20	45 000	19	42 750	25	56 250	24	54 000	22	49 500
MA ეკონომიკა	12	27 000	10	22 500	5	11 250	1	2250	13	29 250	19	42 750
MA ჟურნალისტიკა	-	-	10	22 500	5	56 250	1	2250	1	2250	3	6 750

MA ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (სწავლის ქირა საქართველოს მოქალაქეებისთვის 2250 ლარი, უცხოელი მოქალაქეებისთვის 2250 აშშ დოლარი)	-	-	-	-	-	-	3	6750 $	-	-	4	9000
PHD ბიზნესის ადმინისტრირება (სწავლის ქირა 2750 ლარი)	-	-	2	5500	2	5500	2	5500	2	5500	2	5500
PHD ეკონომიკა (სწავლის ქირა 2750 ლარი)	-	-	1	2750	-	-	3	8250	2	5500	2	5500

შენიშვნა* 2013 წლიდან ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ექვემდებარება პროგრამულ დაფინანსებას და მისაღები გამოცდებით გათვალისწინებული კომპეტენციების ზღვარი „მათემატიკასა“ და „უცხო ენაში“ განსაზღვრულია 30% + 1-თ.

მობილობის წესით ჩარიცხულ და ამორიცხვის სტატუსშეწყვეტილ სტუდენტთა რაოდენობა
2012-2013 სასწ. წლიდან 2017-2018 სასწ. წლის გაზაფხულის სემესტრამდე

საგანმანათლებლო პროგრამა	2012-2013		2013-2014		2014-2015		2015-2016		2016-2017		2017-2018	
	ჩარიცხვა	ამორიცხვა	ჩარიცხვა	ამორიცხვა	ჩარიცხვა	ამორიცხვა	ჩარიცხვა	ამორიცხვა	ჩარიცხვა	ამორიცხვა	ჩარიცხვა	ამორიცხვა
BA ბიზნესის ადმინისტრირება	32	13	28	31	40	38	30	20	43	26	18	14
BA ეკონომიკა	-	-	16	1	10	8	4	3	7	1	7	7
BA სამართალი	38	5	31	7	40	5	22	10	22	11	25	7
BA სოციალური მეცნიერებები	23	3	14	8	21	3	17	11	13	6	9	10
MA ბიზნესის ადმინისტრირება	1	1	-	-	-	-	1	-	4	1	3	1
MA სისხლის სამართალი	1	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-
MA საჯარო სამართალი	-	-	-	-	-	-	1	-	1	-	1	-
MA საჯარო მმართველობა	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-
MA ეკონომიკა	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-
MA ჟურნალისტიკა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
MA ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
PHD ბიზნესის ადმინისტრირება	-	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-
PHD ეკონომიკა	1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ:		-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

7. ადამიანური რესურსები:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ემსახურება 7 პროფესორი, 28 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 24 ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული პრაქტიკოსები და დოქტორანტები, ასევე უცხო ენის 15 მასწავლებელი.

ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ემსახურება 5 პროფესორი, 23 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი, 15 (მათ შორის, საერთაშორისოდ აღიარებული) ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული პრაქტიკოსები და დოქტორანტები ასევე უცხო ენის 19 მასწავლებელი.

სამართალის საბაკალავრო პროგრამას და სისხლის სამართლის და საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამებს ემსახურება 1 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 8 ხელშეკრულებით და 20 საათობრივი წესით მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტები და დოქტორანტები ასევე უცხო ენის 17 მასწავლებელი.

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამას ემსახურება 2 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 6 ხელშეკრულებით და 9 საათობრივი წესით მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტები და დოქტორანტები ასევე უცხო ენის 17 მასწავლებელი.

ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში სამაგისტრო პროგრამას ემსახურება 2 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 4 (მათ შორის, საერთაშორისოდ აღიარებული) ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩაბმული აკადემიური, მოწვეული სამეცნიერო, ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსების საკვალიფიკაციო მოთხოვნები ადასტურებს მათი პირადი მონაცემები.

8. მატერიალური რესურსები:

ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ორ მისამართზე - თამარ მეფის 59 (ოთხ კორპუსში) და ილია ჭავჭავაძის გამზირი 21/ა. სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდით. ფაკულტეტს გააჩნია იმიტირებული სასამართლო დარბაზი, იურიდიული და მედიაციის კლინიკა, კრიმინალისიტიკის და ჟურნალისტიკის ლაბორატორია, ვასილ ჩანტლაძის და იური ნორაკიძის სახელობის აუდიტორიები, რომელიც უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, ე.წ. „ჭკვიანი დაფით", საპროექციო აპარატურით და სხვა საჭირო ინვენტარით. ლექცია/ჯგუფში მუშაობები და ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება აუდიტორიებში/კომპიუტერულ კლასებში, სულ 98 აუდიტორია.

2018 წელს ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია თამარ მეფის 59-ში განთავსებულ I და II კორპუსში თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სალექციო/ჯგუფში მუშაობის 15 აუდიტორია, მათ შორის, სადისკუსიო აუდიტორიების მოწყობა, „ბანკნეტის" ლაბორატორია, ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრი, ჟურნალისტიკის ლაბორატორიის თანამედროვე ტექნიკით განახლება.

სამართლის დეპარტამენტთან ფუნქციონირებს სამართლის იურიდიული კლინიკა, რომლის ძირითადი ფუნქციაა სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კონსულტაციები გაუწიოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ასევე 2018 წელს დაგეგმილია უკვე დაფუძნებული მედიაციის კლინიკის ამოქმედება.

9. განვითარების მიზნები:

ფაკულტეტი ითვალისწინებს პოტენციური დამსაქმებლებლების და პარტნიორების, კურსდამთავრებულების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს, მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში.

2012 წლიდან დღემდე ჩატარებული გამოკითხვების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამებში. ამჟამად, მიმდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამების მოდერნიზება, სადაც მაქსიმალურად არის გათვალისინებული პროგრამების მონაწილე პირების რეკომენდაციები, განსაკუთრებით დამსაქმებლების.

ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამებში აისახება სიახლე: A და B კატეგორიის მოსწრების სტუდენტებისთვის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, ჩაისმება საბაკალავრო ნაშრომი (10 ECTS კრედიტი), როგორც არჩევითი კომპონენტი.

დაგეგმილია პროგრამების სარეკლამო რგოლების დამზადება და ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში მისი რეკლამირება მაღალი რეიტინგის სტუდენტების მოსაზიდად. ამასთან, კვლავ გაგრძელდება ფაკულტეტზე მომქმედი პროგრამა „სტიპენდიანტი სტუდენტობისთვის", რომლის ფარგლებში აბიტურიენტებისთვის ჩატარდება ოლიმპიადა/კონკურსი მეოთხე მისაღებ საგანში (ვთქვათ, ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამებისთვის - მათემატიკაში), ხოლო გამარჯვებულებს დაენიშნებათ სტიპენდია იმ შემთხვევაში თუ მათი პირველი არჩევანი იქნება აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა.

დაწყებულია და გაგრძელდება საერთაშორისო დონის ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მოწვევა და მათ მიერ საჯარო ლექციების წაკითხვა/მასტერ კლასების ჩატარება.

„სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტს დაგეგმილი აქვს 2019 წ. შექმნას **„საერთაშორისო ურთიერთობების"** სამაგისტრო პროგრამა.

ფაკულტეტი ინტენსიურად მუშაობს, რომ შექმნას და განავითაროს ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები - „ეკონომიკა" და „ფინანსები" - მისი პოტენციური საერთაშორისო პარტნიორების (უკრაინა, პოლონეთი, ჩეხეთი) დახმარებით. მიმდინარეობს მოლაპარაკება და არის მოლოდინი „Volkswagen"-ს ფონდთან ერთობლივ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამაში (PHD) მონაწილის სტატუსით ჩართვა.

10. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

ფაკულტეტი აწარმოებს მოლაპარაკებას კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტთან პოლონეთის/ჩეხეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შექმნის, ერთობლივი კონფერენციების ჩატარების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროექტების შესახებ.

2018 წელს დაგეგმილია აღნიშნულთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.